



ავტორისაგან

წიგნი გათვალისწინებულია ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის – როგორც დამხმარე სახელმძღვანელო თარგმნის თეორიასა და პრაქტიკაში.

მხოლოდ არსებით და ფუნდამენტურ კატეგორიებამდე „დანახილ-დანურული“ ეს მოკლე კურსი გზამკვლევის მაგივრობას გაგინევთ – გეზსა და მიმართულებას მოგცემთ, და უდავოდ დაგეხმარებათ თავად დასახოთ სწორი ორიენტირები. ამავდროულად, მართებულად დასმული აქცენტები მიგითითებთ და დაგაფიქრებთ თარგმანში უცილობლად გასათვალისწინებელ ნიუანსებსა და რეალიებზე.

გისურვებთ წარმატებას სრულყოფილი თარგმანის დაუფლებისკენ მიმავალ ამ საინტერესო გზაზე!

ასე და

ISBN 978-9941-8-2180-6



გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი 2020.

აკაკი მუმლაძე



თარგმანში რომ არ დავიპაჩობოთ

საკაპი მუშაა

**თარგმანი რომ
არ დავიკარგოთ**

თბილისი
2020

აკაკი მუმლაძე: თარგმანში რომ არ დავიკარგოთ
გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი 2020. გვ. 72.

რეცენზია

ნიგნი გათვალისწინებულია ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის – როგორც დამხმარე სახელმძღვანელო თარგმნის თეორიასა და პრაქტიკაში.

მხოლოდ არსებით და ფუნდამენტურ კატეგორიებამდე „დანახილ-დანურული“ ეს მოკლე კურსი გზამკვლევის მაგივრობას გაგინევთ – გეზსა და მიმართულებას მოგცემთ, და უდავოდ დაგეხმარებათ თავად დასახოთ სწორი ორიენტირები. ამავდროულად, მართებულად დასმული აქცენტები მიგითითებთ და დაგაფიქრებთ თარგმანში უცნობლად გასათვალისწინებელ ნიუანსებსა და რეალიებზე.

გისურვებთ წარმატებას სრულყოფილი თარგმანის დაუფლებისკენ მიმავალ ამ საინტერესო გზაზე!

რედაქტორი: ნინო მუმლაძე

© ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-8-2180-6

აკაკი მუმლაძის „თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ ავტორის ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური გამოცდილებითაა ნაკარნახევი. ბატონი აკაკი ოთხ ათეულ წელზე მეტხანს კითხულობდა ლექციებს თარგმნის თეორიასა და პრაქტიკაში, ლექსიკოლოგიასა და ინგლისური ენის სწავლების მეთოდულ კუთხით. მისი მრავალრიცხოვანი პუბლიკაციებისა და სამეცნიერო ნაშრომების ძირითად თემატიკასაც უცხო ენის სწავლა-სწავლების, საგანმანათლებლო პროცესისა და, ზოგადად, განათლების სისტემის თანამედროვეობის გამომწვევებზე მორგება-მისადაგება წარმოადგენს.

„თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ თანმდევერულად მიმოიხილავს თარგმნის, როგორც რთული კოგნიტიური და შემოქმედებითი პროცესის საფუძვლებს, მის სპეციფიკას, იმ სირთულეებს, რომლებიც ამ პროცესს სდევს თან. იგი ეყრდნობა თარგმნის თეორიის ქართველ და უცხოელ მკვლევართა ფუნდამენტურ კვლევებსა და მონოგრაფიებს. აღნიშნული სახელმძღვანელო, რომელიც ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი, მოკლედ, ამასთანავე, სიღრმისეულად აწვდის მათ თარგმნის ხელოვნების თეორიულ საფუძვლებს, საქართველოში თარგმნის ისტორიის ექსკურსს. ნიგნი გააფერებულა მრავალი ღირებული რჩევით, რომელიც დაეხმარება მთარგმნელებსა და თარჯიმნებს წარმატებით გაართვან თავი პროფესიულ საქმიანობას და აიცილონ მოსალოდნელი სირთულეები და ჩავარდნები.

„თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ ლაკონურად გადმოგვცემს ყველა იმ ლინგვისტურ ასპექტს, რომლის ცოდნაც მომავალი მთარგმნელებისთვის აუცილებლობაა; ესენია, ლექსიკა, გრამატიკა, ფონეტიკა, ორთოგრაფია. ყველა ამ მიმართულებით ავტორი მკითხველს ლინგვისტური მასალის მეორე ენაზე გადატანისთვის აუცილებელ რჩევებსა და მითითებებს სთავაზობს, ხაზს უსვამს ტიპურ შეცდომებს და ყველა მოსაზრება-

თარგმნის თეორია და პრაქტიკა Translation – Theory and Practice

შესავალი

სა და დებულებას ამყარებს ზუსტად და რელევანტურად შე-
რჩეული საილუსტრაციო მასალითა და მაგალითებით. წიგნში
განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მხატვრული ტექსტის
სპეციფიკას, მისი თარგმნის თავისებურებებსა და რეკომენდა-
ციებს ამ მიმართულებით.

სახელმძღვანელო მრავალ პრაქტიკულ რჩევასა და მაგა-
ლითს შეიცავს ინგლისურიდან ქართულ ენაზე და, პირიქით,
ქართულიდან ინგლისურზე თარგმნის მიმართულებით; მაგა-
ლითად, დეტალურადაა გადმოცემული ამ ორ ენას შორის ფო-
ნეტიკურ-ორთოგრაფიული შესატყვისობის საკითხი, რასაც
სიცხადე შემოაქვს ამ მხრივ არსებულ ბევრ გაურკვევლობასა
და საკამათო საკითხში.

ავტორი სახელმძღვანელოს ასრულებს თარგმნისთვის უმ-
ნიშვნელოვანესი საკითხით – სტილის დიფერენცირების სა-
ფუძვლების მიმოხილვით; წიგნში ამ მხრივ არაერთი საყურა-
დღებო რჩევა და ინფორმაციაა მოცემული, რაც დაეხმარება
მომავალ მთარგმნელებს ადეკვატურად თარგმნონ ნებისმიე-
რი ტექსტი.

აკაკი მუმლაძის „თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ ლინგ-
ვისტურად უაღრესად დახვეწილი და გამართული, ინფორმა-
ციულად ტევადი, სტუდენტის კომპეტენციასა და საჭიროე-
ბებს მისადაგებული სახელმძღვანელოა, რომელიც საიმედო
მეგზურად გამოადგება ნებისმიერ მთარგმნელს; ამასთან, არა
მხოლოდ ახალბედს – არამედ გამოცდილ პროფესიონალსაც.

ლია თოდუა

**შავი ზღვის საერთაშორისო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
განათლების მეცნიერებათა დოქტორი**

ჯერ კიდევ არ არსებობს ერთნიშნა პასუხი კითხვაზე – თუ
სად და როდის გაჩნდა ადამიანი. ერთი თეორიის თუ მოსაზრე-
ბის თანახმად, ადამიანის აკვანი აფრიკაში დაირწა და იქიდან
მისი გამრავლებული შთამომავლობა მთელ დედამიწას მოედო.

ამ განსახლებამ, ამ დასახლებათა დაშორიშორებულობამ
შეასუსტა, ან სულაც შეწყვიტა ახალმოსახლეთა ურთიერთკა-
ვშირები, რასაც შედეგად მოჰყვა მათი თავდაპირველი ერთი-
ანი ენის ჯერ დიალექტებად ჩამოსხვაფერება, შემდეგ კი ამ დი-
ალექტების ცალ-ცალკე ენებად ჩამოყალიბება. მეორე თეორი-
ის, თუ მოსაზრების მიხედვით, ადამიანი, მეტ-ნაკლებად ერთსა
და იმავე დროს, დედამიწის სხვადასხვა კუთხეში წარმოიშვა და
მაშასადამე, ეს გაბნეული ადამიანები თავიდანვე სხვადასხვა
ენებზე ლაპარაკობდნენ.

პირველი თეორიის ერთგვარი გამოძახილია ლეგენდა „ბაბი-
ლონის გოდოლის“ შესახებ, რომლის შენებასაც ხალხი შეუდგა,
ცაში ასასვლელი კიბის აღსამართავად და რომელი განზრახ-
ვის ჩასაშლელადაც ღმერთმა მათ თავდაპირველი საერთო ენა
დააუიწყა და ისინი ახალ სხვადასხვა ენებზე ალაპარაკა.

ასეა თუ ისე, სხვადასხვა ხალხებს შორის ურთიერთობის
საშუალებად, მათ შორის ერთგვარ „შუამავლად“, უხსოვარი
დროიდან გვევლინება თარგმანი.


პროფესორ გივი გაჩეჩილაძის (1966) განმარტებით, თარგ-
მანი ერთ ენაზე შექმნილი ნაწარმოების სხვა ენის საშუალე-
ბით განმეორებაა. ავტორი არ მიუთითებს აღნიშნული განსა-
ზღვრება მარტო მხატვრულ თარგმანს გულისხმობს, თუ ყო-
ველგვარ თარგმანს ზოგადად. ორსავე შემთხვევაში ავტორის
გამონათქვამი უნაკლო არ არის, რამეთუ იგი არ მოიცავს თა-

რგმანის თარგმანს – ერთის მხრივ, და სიტყვის თარგმანს – მეორეს მხრივ. როგორც ვიცით, ნებისმიერ ენაში, და მათ შორის ქართულშიც არაიშვიათია შემთხვევები, როცა თარგმანი ორიგინალიდან კი არ სრულდება, არამედ ამ ორიგინალის რომელიმე სხვა ენაზე არსებული თარგმანიდან.

რაც შეეხება სიტყვის თარგმანს, იგი მოცემულია ორ და მეტ ენოვან ლექსიკონებში.


თარგმანის უფრო ზუსტ განმარტებას ვკითხულობთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, რომელიც გვამცნობს, რომ „თარგმანი არის ერთი ენიდან მეორეზე გადაღებული ტექსტი ან სიტყვა“ (www.ice.ge).

როგორც ცნობილია, ჩვენ ვმეტყველებთ წინადადებებით, რომლებიც სიტყვებისა და შესიტყვებებისაგან შედგება; მაგრამ რადგანაც თვით შესიტყვებები ისევ სიტყვებისაგან შედგება, მაშასადამე ლექსიკონისა და საერთოდ ენის ძირითადი საშენი აგურია სიტყვა, რომელიც ფორმისა და შინაარსის, ე.ი. მნიშვნელობის ერთიანობას წარმოადგენს. მეტი თვალსაჩინოებისათვის სიტყვა შეიძლება შევადაროთ თხილს ან კაკალს, რომელსაც აქვს გარე სამოსელი, გარსი ანუ ფორმა ნაჭუჭის სახით, რომელშიც მისი შინაარსი, ე.ი. მისი გულია გამოხვეული. ბუნებაში ნაჭუჭი და გული ცალ-ცალკე არ არსებობს. ასევე განუყოფელია სიტყვის სამოსელი, გარსი, მისი ფორმა (clothing, garb, form) და მისი შინაარსი ანუ მნიშვნელობა (meaning).



სიტყვის, როგორც მისი ამ ორი მხარის, ე.ი. ფორმისა და მნიშვნელობის განუყოფელი ერთიანობის აქსიომატურობის

ფონზე ერთგვარ დისონანსად ჟღერს პროფესორ ო. ახმანოვასა და რ. იძელისის განცხადება წიგნში „What is the English We Use“ (1978) – თითქოს თარგმნისას ხდებოდა სიტყვის ფორმიდან, გარსიდან, სამოსელიდან (garb) მნიშვნელობის გამოცალკეება და ამ მნიშვნელობის მთარგმნელი ენის სიტყვის ფორმაში, გარსში, სამოსელში მოთავსება –



რაც ყოვლად გაუმართლებელია; რადგანაც სანამ ერთი გარსიდან მნიშვნელობას მეორე გარსში გადავიტანდეთ, ეს მნიშვნელობა შიშველი, ე.ი. უსამოსელო იქნებოდა; და მაშასადამე, სიტყვის როგორც ფორმისა და შინაარსის ერთობლიობა დაირღვეოდა.

სინამდვილეში, არსაიდან არაფერი არ გამოგვაქვს და არავითარ ახალ გარსში არ ვათავსებთ. თარგმნისას ჩვენ ერთი ენიდან მეორეზე გადაგვაქვს არა სიტყვის ფორმა და მნიშვნელობა ცალ-ცალკე, არამედ მათი, ე.ი. ფორმისა და შინაარსის ერთიანობა; ანუ ვცვლით სათარგმნი ენის სიტყვას, ვთარგმნით მთარგმნელი ენის იმავე მნიშვნელობისა და სტილის სიტყვით; ხოლო თუ ასეთი მასპინძელ ენაში არ მოიპოვება, მაშინ მისი უახლოესი ეკვივალენტით, ან სულაც მთელი ფრაზით.

იგივე ხერხს მივმართავთ ფრაზების, წინადადებებისა და მთელი ტექსტების ერთი ენიდან მეორეზე გადაღების შემთხვევაშიც.

მთარგმნელის მეტად რთულ ამოცანასა და მთავარ საზრუნავს, სწორედ სათარგმნ და მთარგმნელ ენათა არსენალებში საჭირო ენობრივ შესატყვისობათა დაძებნა-დადგენა

წარმოადგენს, რამეთუ ყველა განზომილებით, ე.ი. ფორმით, მნიშვნელობითა და ხმარებით ერთნაირი სიტყვები არათუ ორ სხვადასხვა ენაში, არამედ ერთი და იგივე ენის სხვადასხვა დიალექტებშიც ძნელად თუ მოიპოვება.


ამის დასტურად ქართულ-მეგრული მასალაც გამოდგებოდა. (ზოგი ენათმეცნიერი მეგრულს ქართველურ ენად მიიჩნევს, ზოგიც დიალექტად) მაგალითად, ერთნაირი მნიშვნელობის მაგრამ ფორმალურად განსხვავებული სიტყვებია: *მალე – მაღჲს; ისევ – ისევლე, კინე; ილღია – (რ)ღია; სისხლი – ზისხირი* და ა.შ.

ფორმალურ განსხვავებას მნიშვნელობაში განსხვავებაც ერთვის სიტყვებში – *დიანთილი, მუანთილი*, რომლებიც შესაბამისად ქართულ *დედამთილ-სიდედრს* და *მამამთილ-სიმამრს* აღნიშნავენ. ხოლო ერთი და იგივე ფორმა *ჭუკი* – ქართულში *ბატის მართვეა*, მეგრულში კი – *თაგვი*.

ქართული *ხელის* შესატყვისი ინგლისურს არ გააჩნია და იგი უნდა ითარგმნოს ინგლისურად იმისდა მიხედვით, თუ ხელის რა ნაწილი ღებულობს მონაწილეობას მოქმედებაში – როგორც *hand* (*მტევანი*) ან როგორც *arm* (*მკლავი*): *to shake hands*, მაგრამ *to take a child in one's arms*. ასევე, სიტუაციის მიხედვით უნდა ვთარგმნოთ სიტყვა *box* *კოლოფად* ან *ყუთად*; და სიტყვა *blue* *ლურჯად* ან *ცისფრად* და ა.შ.

აქედან გამომდინარე, თარგმანი არასოდეს წარმოადგენს ორიგინალის ზუსტ ასლს; მასში ყოველთვის რაღაც იცვლება, რაღაც იკარგება ან რაღაც ემატება.

დედანთან სიახლოვე-დაშორებულობის, ე.ი. დედნისადმი ერთგულების მიხედვით ჯ. კეტფორდი (1965) თარგმნის ხარისხების შემდეგ იერარქიას ასახელებს: 1. სიტყვა-სიტყვითი თარგმანი (word-for-word - *дословный перевод*); 2. პირდაპირი (literary translation - *буквальный перевод*); 3. ადეკვატური თარგმანი (adequate translation - *адекватный перевод*) – აღმავალი ხაზით; და 4. თავისუფალი თარგმანი (free translation - *свободный перевод*); 5. გადაკეთება (alteration - *переделка*); და 6. მიბაძვა (imitation - *подражание*) – დამავალი ხაზით.



საილუსტრაციოდ კეტფორდს მოჰყავს რუსული ფრაზის *Бог с ними* თარგმანები შემდეგი კვალიფიკაციებით:

1. *God with them* – სიტყვა-სიტყვითი თარგმანი
2. *God is with them* – პირდაპირი თარგმანი და
3. *Don't mind them* – ადეკვატური თარგმანი.

რაც შეეხება თავისუფალ თარგმანს, გადაკეთებასა და მიბაძვას – ეს ტექსტის თარგმანებია და ავტორთან ისინი არ განიხილება.

მოკლედ, ფიგურალურად რომ ვთქვათ, თარგმანი ქალია – თუ ლამაზია, ერთგული არ არის; და პირიქით – თუ ერთგულია, ლამაზი არ არის. (*საბედნიეროდ, დღეს ასეთ პარალელს აღარავინ ავლებს*)

მამასადამე, (*ჩემეული განმარტებით*) თარგმანი არის ერთი ენიდან მეორეზე გადაღებული ტექსტი ან სიტყვა ამ უკანასკნელთა ფორმალურ-შინაარსობრივ თავისებურებათა შესაძლო შენარჩუნებით (გათვალისწინებით).

თარგმანის მოკლე ისტორია

თარგმანის საჭიროება განპირობებულია ხალხებს შორის ურთიერთობის გარდუვალობით – ერთის მხრივ, და სხვადასხვა ენების არსებობით – მეორეს მხრივ.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ თავდაპირველად, დამწერლობის შექმნამდე თარგმანი მხოლოდ ზეპირი იქნებოდა, რომელთაგან ჩვენამდე მხოლოდ ფოლკლორის ნიმუშებია მოღწეული. წერილობითი თარგმანის ისტორიასაც ანტიკურობამდე მივყავართ, როდესაც თავისუფალი თარგმანი, გადაკეთება და მიბაძვა დომინირებდა. ფეოდალურმა ეპოქამ მას დაუპირისპირა პირდაპირი და სიტყვა-სიტყვითი თარგმანი, რომლითაც ძირითადად რელიგიური ტექსტები სრულდებოდა. ამ ორი სახის თარგმანს შორის ბრძოლა დღესაც გრძელდება.

ყველაფერს საჭიროება ბადებს და გამონაკლისი არც თარგმანია. სხვადასხვა ხალხებს აინტერესებდათ და ესაჭიროებოდათ ერთი-მეორის მიღწევათა გაცნობა და გამოყენება. ასე რომ, თარგმანს უძველესი დროიდან ეყრება საფუძველი. ითარგმნებოდა როგორც რელიგიური, ისე საერო; როგორც სამეცნიერო-ტექნიკური, ისე მხატვრული ლიტერატურა და იგი სათანადო დარგის თუ ცხოვრების სფეროს განუყოფელი ნაწილი ხდებოდა; და ამგვარად, ხელს უწყობდა კაცობრიობის განვითარებას.

ხალხთა განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა მხატვრული ლიტერატურა, რომლის საუკეთესო ნიმუშები თარგმანის საშუალებით, შეიძლება ითქვას, ხელიდან ხელში გადადიოდა. შუმერული პოეზიის ნიმუშებმა ჩვენამდე აქადური თარგმანების სახით მოაღწია და ეს თარგმანები განეკუთვნება ჩვენს წელთ აღრიცხვამდე III ათასწლეულს, ხოლო ხეთურმა ლიტერატურამ შემოგვინახა ჩვ.წ.აღ.-მდე XIII საუკუნის ხურიტული მითოსი.

მთარგმნელობით საქმიანობას ოდითგანვე ეწეოდნენ ქართველი მწიგნობრებიც. ძირითადად ესენი იყვნენ საეკლესიო

მამები და მეფის კარის პოეტები. ქართველები თარგმნიდნენ ყველა იმ დროისათვის დიდი ხალხის შემოქმედებას და ამ თარგმანებიდან ჩვენ ვიგებთ, თუ ვისთან ქონიათ ჩვენს წინაპრებს მჭიდრო ურთიერთობა. ეს ქვეყნებია ძირითადად ინდოეთი, არაბეთი, სირია, პალესტინა, სპარსეთი და ბიზანტია.

რა თქმა უნდა, ითარგმნებოდა პირველ რიგში სასულიერო ტექსტები, მაგრამ ყურადღების მიღმა არც საერო ლიტერატურა რჩებოდა. ძნელი წარმოსადგენია ქართველთა უფრო დიდი მტერი, ვიდრე ირანი იყო; მაგრამ ქართველები ისევე შეჭხაროდნენ სპარსულ პოეზიას, როგორც თვით სპარსელები. ამ სპარსული და არაბული სამყაროს ტენდენციები და მოტივები დიდ გავლენას ახდენდა თვით ქართულ ლიტერატურაზე, და ენაზეც.

ჩვენი ორიენტაცია ამ მიმართულებით იცვლება მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში, როდესაც საქართველო იძულებული ხდება რუსეთს შეუერთდეს. ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა, მაგრამ გადარჩა შესაძლო ფიზიკური განადგურებისა და გამაჰმადიანებისაგან; და რაც მთავარია, მან მეტ-ნაკლებად ამოისუნთქა ათასი ჯურის დამპყრობელთა შემოსევებისაგან და ხელი მიჰყო მშვიდობიან აღმშენებლობას. ამ პერიოდში უამრავი ნაწარმოები ითარგმნება რუსულიდან - იმპერიაში შემავალი სხვა ქვეყნების ლიტერატურის ჩათვლით და აგრეთვე, დასავლეთ ევროპის ხალხთა ლიტერატურებიდან.

ქართველი მთარგმნელებიდან აღსანიშნავია სინას მთისა და ათონის მონასტრის მამათა ნაღვანი. კერძოდ, გრიგოლ და ექვთიმე ათონელების, ეფრემ მცირისა და პეტრინის თარგმანები – რომელთაც დიდად შეუწყვეს ხელი როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას.

როგორც აღინიშნა, თავდაპირველად თავისუფალი თარგმანი დომინირებდა. თავისუფალი თარგმანის ნიმუშია “ვის-რამიანი“, გადაკეთებად შეიძლება მივიჩნიოთ “როსტომიანი“,

ხოლო ადეკვატური თარგმანის ნიმუშია „ქილილა და დამანა“. ეს უკანასკნელი ინდური წარმოშობისაა, მაგრამ მსოფლიოში გავრცელდა არაბული თარგმანის მეშვეობით; ქართულში კი, იგი ნათარგმნია ახალი სპარსულიდან. თარგმანი წამოუწყია თეიმურაზ მეფის მამას – დავითს. შემდეგ ის დაუსრულებია ორ უცნობ პიროვნებას ვახტანგ VI-ის დავალებით. მოგვიანებით, თვით ვახტანგს უთარგმნია უფრო სრულყოფილად. ხოლო დღევანდელი საუკეთესო ვარიანტი ეკუთვნის სულხან საბა ორბელიანს.

ქართველებს, როგორც კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, არამარტო შემოჰქონდათ, არამედ კიდევ გაჰქონდათ ლიტერატურული ექსპორტი. აღსანიშნავია, რომ „ვისრამიანს“ ევროპა ქართული ვერსიის ინგლისური თარგმანით გაეცნო. ქართველები – შეიძლება თავისი ბუნებიდან გამომდინარე – მეტად თავისუფლად ეკიდებოდნენ თარგმანს; მათ შორის რელიგიურსაც. მაგალითად, „კურთხევანის“ თარგმანში მათ იმდენი ცვლილებები შეუტანიათ, რომ ბერძნებს ეჭვიც კი შეჰპარვიათ ქართველთა მართლმადიდებლობაში.

რაც შეეხება საერო ლიტერატურას, აქ ჩვენი მთარგმნელები ვალდებულნიც კი იყვნენ შეეცვალათ მაჰმადიანურ ტექსტთა გარკვეული პასაჟები, რომლებიც მიუღებელი იყო ქართველი მკითხველისათვის – როგორც რელიგიური თვალსაზრისით, ისე იქ გამომწვევებულ ხორციელ ვნებათა შემცველი სცენების გამო.

ათასი ჯურის დამპყრობთა შემოსევების გამოისობით, ქართველი მნიგნობარ-მთარგმნელებიც ხშირად სხვადასხვა ქვეყნებს იყვნენ შეფარებულნი და იქ ეწეოდნენ მთარგმნელობით საქმიანობას. შედეგად, მათი ყურადღების ეპიცენტრშიც იმ კულტურულ სივრცეში შექმნილი ნაწარმოებები ექცეოდა. ლოგიკურია, რომ რუსეთთან იძულებითმა კავშირმა გარკვეულწილად ამ მიმართულებითაც შეცვალა კულტურული ვექტორი. თარგმანის მეშვეობით ამ დროს ეცნობა ქართველი დიდ რუს ავტორებს: პუშკინს, ლერმონტოვს, ტოლსტოის, ჩერნიშევსკის

და არა მხოლოდ. ამავე პერიოდში ითარგმნა მსოფლიოს ბუმბერაზი გენიოსებიც: დანტე, სერვანტესი, ბალზაკი, შექსპირი. სხვათა შორის, შექსპირის მაჩაბელ-ჭავჭავაძისეული თარგმანები საუკეთესოა ამავე ავტორის სხვა ენებზე შესრულებულ თარგმანებს შორის. ამ თარგმანებმა დიდი ბიძგი მისცა თეატრალური ხელოვნების აღორძინება-განვითარებასაც.

ქართულ ლიტერატურაში ძნელად თუ მოიპოვება მეტ-ნაკლებად დიდი ავტორიტეტი, რომელსაც თარგმანშიც არ მოესინჯოს კალამი. ამ მხრივ აღსანიშნავია ნიკო ავალიშვილი, თედო სახოკია, გერონტი ქიქოძე, მამა-შვილი გამსახურდიები და სხვა.

კარგი გავებით თარგმანის აქტიურ პროპაგანდას ეწევიან ჟურნალები „ცისკარი“, „არილი“, „ახალი საუნჯე“; გაზეთები, „ლიტერატურული საქართველო“, „ლიტერატურული გაზეთი“ და სხვები.

თარგმანთა სახეობი

სათარგმნი ტექსტის რაგვარობის, მისი წამყვანი საკომუნიკაციო ფუნქციისა და თარგმანში გამოყენებული მეტყველების ფორმის მიხედვით პროფესორი ვილენ კომისაროვი (1990) თარგმანის შემდეგ სახეებს გამოყოფს, ესენია: მხატვრული ანუ ლიტერატურული და არამხატვრული ანუ სპეციალური ანუ ინფორმაციული თარგმანი – ერთის მხრივ; ხოლო ზეპირი და წერილობითი თარგმანი – მეორეს მხრივ.

მხატვრულ თარგმანს საქმე აქვს ლიტერატურულ ნაწარმოებთან, რომლის დანიშნულება, როგორც ვიცით, მკითხველზე ესთეტიკურ-ემოციური ზეგავლენის მოხდენაა; ხოლო სპეციალური თარგმანის მიზანია მკითხველისა თუ მსმენელისათვის რაიმე ინფორმაციის მიწოდება.

ლიტერატურული ჟანრების მიხედვით მხატვრული თარგმანის სახეებია: მხატვრული პროზის თარგმანი, პოეზიის თარგმანი, დრამატურგიის თარგმანი.

ქვესახეობები აქვს სპეციალურ თარგმანსაც. კერძოდ, აქ განეკუთვნება სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის თარგმანი, სოციალურ-პოლიტიკური, საჯარო გამოსვლების, რეკლამების, ოფიციალური დოკუმენტაციებისა და საყოფაცხოვრებო ხასიათის ტექსტების თარგმანი.

წერილობით თარგმანს ასრულებს მთარგმნელი (translator - переводчик), ზეპირ თარგმანს კი - თარჯიმანი (interpreter - переводчик-толмач).

ნებისმიერი ტიპის ტექსტი შეიძლება ზეპირადაც ითარგმნოს და წერილობითაც. მაგრამ მხატვრული ტექსტი, როგორც წესი, წერილობით ითარგმნება. ინფორმაციული ტექსტებიდან კი – წერილობით ითარგმნება სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალურ-პოლიტიკური ლიტერატურა, დოკუმენტაცია, ხელსაწყოების, აპარატურის, მედიკამენტების ინსტრუქციები და სხვა.

ზეპირ თარგმანს ექვემდებარება საჯარო გამოსვლები, ლექციები, მოხსენებები, ოფიციალური და კერძო საუბრები.

წერილობით თარგმანს საქმე აქვს როგორც დედნის, ისე თარგმანის ფიქსირებულ, ვიზუალურ-გრაფიკულ ტექსტებთან, რომლებსაც მთარგმნელი არაერთხელ უბრუნდება, რათა ხელახლა აღიქვას ორიგინალი და საჭირო შესწორებები შეიტანოს თარგმანში. წერილობითი თარგმნის დროს მთარგმნელი არაა მოქცეული დროის მკაცრ არტახებში. მას შეუძლია ნებისმიერ მომენტში შეწყვიტოს თარგმნა, დაუბრუნდეს უკვე გადათარგმნილ ნაწყვეტს, ხელახლა გაიზროს დედნისა და ნათარგმნის ნებისმიერი ნაწილი, მოიშველიოს ლექსიკონები და სხვა ცნობარები, ისარგებლოს სპეციალისტთა რჩევითა და კონსულტაციებით. ამიტომ წერილობით თარგმანს მოეთხოვება – და აქ კიდევ მიიღწევა – დედნისა და თარგმანის ეკვივალენტობის შესაძლო უმაღლესი დონე.

ზეპირი თარგმანის შესრულებისას კი – მთარგმნელი მოკლებულია ყველა ამ „შელავათს“. მას საქმე აქვს არა ფიქსირებულ, ერთჯერად, არამედ „წარმავალ“ აკუსტიკურ ტექსტთან, რომელთანაც დაბრუნება და თარგმანში შესწორებების შეტანა გამორიცხებულია. იგი მუდამ ცაიტნოტშია, სულ დროის ნაკლებობას განიცდის და ერთდროულად სამ ფრონტზე იბრძვის: ისმენს ტექსტს ერთ ენაზე, თარგმნის მეორეზე და წარმოთქვამს თარგმანს ფაქტიურად იმავე დროში, რომელსაც ორატორი მხოლოდ ერთ მოქმედებას – კერძოდ კი, ორიგინალის წარმოთქმას ანდომებს. ამ სამი მოქმედების სინქრონიზაცია დაკავშირებულია ხანმოკლე მეხსიერების დიდ დატვირთვასთან, ყურადღების მაქსიმალურ დაძაბვასთან, სამეტყველო კომპრესირების (შეკუმშვების) აუცილებლობასთან, ორიგინალის შემდგომი ნაწილების პროგნოზირებასა და უკვე მოსმენილის საფუძველზე მცდარი პროგნოზების კორექტირებასა და მყისიერი გადაწყვეტილებების მიღებასთან.

ზეპირ თარგმანში გაარჩევენ სინქრონულ და თანმიმდევრულ ანუ „დადევნებულ“ თარგმანს. სინქრონული თარგმანის დროს თარჯიმანი სპეციალურ კაბინაში საყურისებით უსმენს ორატორს და ერთი-ორი წამის დაყოვნებით მიკროფონით გადასცემს თარგმანს – რაც ისეთ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დაძაბულობასთანაა დაკავშირებული, რომ იგი თავის მოვალე-

ობას სრულფასოვნად მხოლოდ 20-30 წუთის განმავლობაში ასრულებს; შემდეგ კი – სხვა თარჯიმნით იცვლება.

სინქრონული თარგმანის სახესხვაობაა ე.წ. „ნაჩურჩულებითი“ თარგმანი, როდესაც თარჯიმანი კაბინაში კი არ ზის, არამედ მსმენელის გვერდით იმყოფება და ნახევარი ხმით „ურჩურჩულებს“ მას თარგმანს. ეგრეთწოდებული დადევნებული ანუ თანმიმდევრული თარგმანის შემთხვევაში თარჯიმანი თარგმანს იწყებს მაშინ, როცა მოლაპარაკე უკვე წარმოთქვამს ტექსტის გარკვეულ ნაწილს. ეს ნაწილი შეიძლება მერყეობდეს ცალკეული წინადადებიდან დაწყებული აზრამდე ან უფრო მეტი მოცულობის ტექსტამდე.

დადევნებული თარგმანისას, თარჯიმანი როგორც წესი, თავის ბლოკნოტში აკეთებს ჩანაწერებს ციფრობრივ მონაცემებზე, ადგილმდებარეობის სახელწოდებებზე, დასახელებულ პიროვნებათა სახელებზე – რასაც შემდგომ ეყრდნობა თავის ზეპირ თარგმანში. ზოგჯერ თარჯიმანს წინასწარ აძლევენ ორატორის გამოსვლის გრაფიკულ ტექსტს, რომელიც მას დიდ დახმარებას უწევს თარგმანში.


ზეპირად თარგმანისას გრაფიკული ტექსტის გამოყენების განსაკუთრებული სახეა ე.წ. ფურცლიდან თარგმანა (sight translation – перевод с листа).

ზეპირი თარგმანის პირობები – დროში შეზღუდულობა, ნათქვამის ერთჯერადობა და მისი ხელახლა მოსმენის შეუძლებლობა – არ იძლევა დედნის სრულად თარგმანის საშუალებას. ამიტომ თარჯიმანი იძულებულია მის შეკვეცაზე, ტექსტის გარკვეულ სეკვენსებზე წავიდეს. ამის საშუალებას კი მას აძლევს ტექსტისთვის, გამონათქვამისთვის დამახასიათებელი ჭარბი ინფორმაციულობა – გვერდითი, მეორეხარისხოვანი, თანმხლები ნიუანსების სახით, რომელთა თარგმანში გამოტოვება ორიგინალის ძირითად აზრს ვერას ავნებს (აკლებს). ასეთი ნიუანსებია: აზრის დუბლირებები, თავაზიანობის ფორმულები, გაკვრითი შენიშვნები, მოცემული ინფორმაციისადმი ავტორის დამოკიდებულებისა და მისი გრძნობა-ემოციების გამო-მხატველი გამონათქვამები, თემიდან გადახვევები და ა.შ.

მხატვრული თარგმანი

როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული ტექსტი სიტყვებითა და შესიტყვებებით ნაქსოვი ქსოვილია. მაგრამ მხატვრულისაგან განსხვავებით, არამხატვრული ტექსტი წმინდა ინფორმაციული ხასიათის მშრალი ტექსტია – ყოველგვარი ემოციების აღმძვრელი შეფერილობის გარეშე; მაშინ როდესაც მხატვრულ ტექსტში, მთავარი ინფორმაცია კი არ არის, არამედ მისი გაფორმებულობა, მისი შეფუთულობა, რომელმაც ესთეტიკურ-ემოციური ზეგავლენა უნდა მოახდინოს მკითხველზე. თუმცა, როგორც მხატვრულ ტექსტში მოიპოვება წმინდა ინფორმაციული ხასიათის უჩუქურთმო ადგილები, ისე არამხატვრულ ტექსტში გვხვდება მხატვრული მუხტის მქონე „ოაზისები“.

ყოველგვარი თარგმანი, უპირველეს ყოვლისა, მონაწილე ენათა კანონზომიერებისა და მათი ურთიერთშესაბამისობის ცოდნას ემყარება. ენობრივ შეფარდებათა მაქსიმალურად შესწავლამ მანქანურ თარგმანამდე მიგვიყვანა (machine translation – машинный, автоматический перевод). მაგრამ მანქანა ამ შეფარდებათა იქით ვერ მიდის. მას არ გააჩნია შემოქმედების უნარი. ამის გარეშე კი, წარმოუდგენელია მხატვრული თარგმანი.



პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საუკეთესო თარგმანი სრულდება არა შესაბამისი ლექსიკური და სინტაქსური შენაცვლებებით, არამედ ორიგინალური საშუალებებით. მანქანას არ ძალუძს სტილისტურ შესატყვისობათა მოძიება. სტილისტიკა ის საზღვარია, სადაც მხატვრული თარგმანი ემიჯნება წმინდა ლინგვისტურ თარგმანს.

ფაქტიურად მხატვრული თარგმანი იწყება იქ, სადაც თავდება ლინგვისტურ შესატყვისობათა დადგენა. ენა ისეთივე მასალაა მთარგმნელისათვის, როგორც ქვა მოქანდაკისათვის. იგი ანგარიშს უწევს მასალის თავისებურებებს, მაგრამ რაც მას ამოქმედებს, რაც მან უნდა გამოხატოს – ესაა დედნის მიერ აღძრული იდეა, განწყობა, და ეს მას ადეკვატურ საშუალებებს აძებნინებს მთარგმნელ, მასპინძელ ენაში. ასე რომ, კარგი თარგმანი წარმოადგენს დედნის ადეკვატურ განმეორებას სხვა ენაზე, მაგრამ არა ლინგვისტური, არამედ ესთეტიკური გაგებით.

სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოები ფორმისა და შინაარსის თავისებურ ერთიანობას წარმოადგენს. ამიტომ თარგმანში მეორდება არა ფორმა და არა შინაარსი ცალ-ცალკე, არამედ ეს მათი თავისებური ერთიანობა, ახალი მასალისაგან. ამგვარად, თარგმნა შემოქმედებითი პროცესია და ყოველ მთარგმნელს სრულფასოვნად მხოლოდ გარკვეული – მისი ინდივიდუალურობისა და განწყობის შესაბამისი ნაწარმოების თარგმნა შეუძლია. ორიგინალური შემოქმედის წინაშე დგას ცხოვრების სინამდვილე, რომელსაც იგი მხატვრულად ასახავს. სინამდვილეს ასახავს მეცნიერებაც, მაგრამ ამ ასახვებს შორის არსებითი განსხვავებებია.

ლიტერატურა, საერთოდ ხელოვნება, საზოგადოებრივი ცნობიერების სპეციფიკური ფორმაა. საზოგადოებრივი ცნობიერება კი – საზოგადოებრივი ყოფიერების ასახვაა. იგი სხვა არაფერია, თუ არა სწორად თუ მცდარად შეცნობილი ყოფიერება. ხელოვნება ყოფიერების მხატვრულ შეცნობას, “სილამაზის კანონიერებით” განპირობებულ ასახვას წარმოადგენს.

ლიტერატურის საგანი სინამდვილეა, ადამიანის ცხოვრება და მისი გარემო; ოღონდ არა მთელი სინამდვილე, მაგ. ქიმიური და ფიზიკური მოვლენები, არამედ მხოლოდ ადამიანის უშუალო სინამდვილის პლასტიკური ასახვა სიტყვის მეშვეობით. სინამდვილის მხატვრული ასახვის თავისებურება იმით არის განპირობებული, რომ თვით ეს ასახვა გვევლინება, როგორც შეთხზვა. მწერალი შეთხზულის, გამონაგონის საშუალებით განასახიერებს ობიექტურ სინამდვილეს. შეთხზვა, გამონაგონი, ფანტაზია, ჭეშმარიტი შემოქმედის აუცილებელ თვისებას, მხატვრული განზოგადების საფუძველს წარმოადგენს. მწერლის გამონაგონი, “სიცრუე” არსებითად აზრის ამხსნელია, ცოცხალი ხატია. მხატვრული ფანტაზია სინამდვილისაგან ამგვარი განრიდებით უფრო ღრმა და ნათელ წარმოსახვას იძლევა სინამდვილის არსისა, ვიდრე თვით ეს ფაქტები და მოვლენები ამჟღავნებენ. ამიტომ ამბობდა ბელინსკი (2001) – ხელოვნებაში წარმოსახული სინამდვილე უფრო ჭკავს სინამდვილეს, ვიდრე თვით სინამდვილე; და აქ ლიტერატურა ემიჯნება ისეთ მეცნიერებას, როგორც ისტორიას.

ავტორიტეტებს მიაჩნიათ, რომ ბალზაკის შემოქმედებაში მისი დროის საფრანგეთი უფრო სრულად და ყოველმხრივად ასახული, ვიდრე მეცნიერულ, ისტორიულ გამოკვლევებში. ლიტერატურულ-შემეცნებითი ასახვის თვისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი სინამდვილის გარეგანი, ემპირიული ფორმის ანდა ობიექტურად მოცემული საგნებისა და მოვლენების პირდაპირ გამეორებას, ასლს კი არ იძლევა – არამედ თვით ქმნის ისეთ ხატოვან ამბებსა და ხასიათებს, მხატვრულ სახეებს, რაშიც უფრო რეალურად ვლინდება სინამდვილის არსი.

ცხადია, ხელოვნების საგნის საზღვრები უფრო ვიწროა, ვიდრე მეცნიერებისა და ფილოსოფიისა – იგი განასახიერებს ადამიანებს, მათ ურთიერთობებს, ცხოვრებასა და მასთან უშუალოდ დაკავშირებულ ბუნებრივ გარემოს. ლიტერატურის საგანი გვევლინება როგორც ობიექტურ მოვლენათა გარკვეული მთლიანობა, ხოლო ამ მთლიანობის ძირითადი ფაქტორი

ადამიანია. ამიტომ იყო, რომ ბალზაკმა ლიტერატურას ადამიანთა გულების ისტორია უწოდა, მაქსიმ გორკიმ კი – ადამიანთმცოდნეობა.

ლიტერატურული ნაწარმოების ფორმა მხატვრული მეტყველებაა. მწერალი კი არ ლაპარაკობს ან “წერს”, არამედ თამაშობს მეტყველებას – როგორც აქტიური სცენაზე; რომელიც თვითონ კი არ მოქმედებს, არამედ თამაშობს მოქმედებას. მხატვრული მეტყველება “ინფორმირება” კი არ არის, არამედ “სახე-ყესტების” ქმნალობაა. მკითხველს შიშველი აზრის პირისპირ კი არ აყენებს, არამედ მხატვრული სინამდვილის წინაშე. ლიტერატურული ნაწარმოები ახალი სინამდვილეა და ლიტერატურული ფორმა გამოდის როგორც ამ ახალი სინამდვილის აგების წესი. ლიტერატურა არის აზროვნება მხატვრული სახეებით, რაც ყოველთვის მოიცავს ამა თუ იმ ხასიათის განზოგადებას – მწერლის ძირითადი იდეური პოზიციისა და შემოქმედებითი პრინციპის შესაბამისად. მწერალი, ისევე როგორც მეცნიერი ემყარება ობიექტური სინამდვილისაგან მიღებულ შეგრძნებებს. მაგრამ მისი შეგრძნებები საგანთა და მოვლენათა მხოლოდ უბრალო ანაბეჭდებს კი არ იძლევა, არამედ უაღრესად განცდითი და ყოველმხრივია; ობიექტის ყველა მხარეს უკუაფენს. მწერალი ვალდებულია შეინარჩუნოს და შემოინახოს ობიექტთან მიმართებაში აღძრული განცდა, ემოცია და იმავე ძალითა და ინტელექტის შერწყმით გადმოსცეს იგი.

მთარგმნელის წინაშე ცხოვრების სინამდვილის გარდა, დგას მხატვრული სინამდვილეც – სათარგმნი ნაწარმოების სახით. მისი ვალია ერთმანეთს შეუთანხმოს ეს ორი სინამდვილე. ცხოვრება მას კარნახობს რა და როგორ თარგმნოს, მაგრამ მას ერთგვარად ზღუდავს წინამდებარე დედანი – თავისი ფორმითა და შინაარსით. სწორედ ამაშია თარგმნის სპეციფიკური სხვაობა ორიგინალური შემოქმედებისაგან.

მთარგმნელის სახელმძღვანელო “კოდექსია” თარგმნის ზოგადი და კერძო თეორიები, რომლებიც პრაქტიკისაგან დაგროვილი მონაცემების განზოგადობას წარმოადგენს, და თავის

მხრივ, ხელს უწყობს თარგმნის პრაქტიკას – განსაზღვრავს რამის პირობებს, ხასიათსა და ხარისხს. თარგმნა შესაძლებელია თეორიის გარეშეც, და პირიქით – კარგი თეორეტიკოსი შეიძლება ცუდი მთარგმნელი იყოს; მაგრამ ეს უკვე უკიდურესობაა.

მხატვრული თარგმანის თეორიის ძირითადი ამოცანა ადეკვატურობის განსაზღვრა და მისი მიღწევის ზოგადი გზების დადგენაა. დედნისა და თარგმანის ტექსტთა იდენტურობისათვის, მათში შემავალ შესაბამის გამონათქვამთა საკომუნიკაციო მიზნისა და სიტუაციის ერთიანობის გარდა, აგრეთვე საჭიროა ამ გამონათქვამთა შემადგენელი სიტყვებისა და მათ შორის არსებულ სინტაქსურ მიმართებათა იდენტურობაც.

გამონათქვამის შინაარსი მის შემადგენელ სიტყვათა და შესიტყვებათა მნიშვნელობებზეა აგებული, მაგრამ იგი ხშირად არ უდრის ამ მნიშვნელობათა უბრალო ჯამს.

სრულმნიშვნელოვანი სიტყვის, როგორც ენის ძირითადი ერთეულის მნიშვნელობაში სამი სახის ინფორმაცია იყრის თავს: 1. ინფორმაცია ალსანიშნი საგნის ნიშან-თვისებებზე, რომელსაც სიტყვის საგნობრივ-ლოგიკური ანუ დენოტაციური ანუ პირდაპირი მნიშვნელობა ეწოდება; 2. ინფორმაცია მოლაპარაკე კოლექტივის/ადამიანთა ჯგუფის დამოკიდებულების შესახებ ამ საგნისადმი, ე.წ. სიტყვის კონოტაციური მნიშვნელობა; და 3. ინფორმაცია მოცემული სიტყვის სხვა სიტყვებთან სემანტიკურ კავშირებზე, რომელსაც სიტყვის შიგა-ლინგვისტური მნიშვნელობა ჰქვია.

როგორც ვიცით, სიტყვის მნიშვნელობა შედგება უმცირესი სემანტიკური სემენტებისაგან – სემებისაგან. არაიშვიათად, სხვადასხვა ენათა შესაბამისი სიტყვები სხვადასხვაგვარ და სხვადასხვა რაოდენობის სემებს შეიცავენ. ამიტომ თარგმანში დედნის ინფორმაციას ან რაიმე აკლდება, ან ემატება. თარგმანი განიცდის გარკვეულ დანაკარგებს, ან გარკვეულ ჩამატებებს ლებულობს.


to kill ზმნასა და მის ქართულ ეკვივალენტ *კვლას* ორი საე-

რთო სემა აქვთ: 1. სიცოცხლის წართმევის სემა; და 2. ამ ობიექტის სულიერობის სემა. მაგრამ *კვლისაგან* განსხვავებით *to kill*-ს მესამე სემაცა აქვს. ესაა მოქმედების ობიექტის უსულობის სემა, როგორც მაგალითად: *to kill an article* (*სტატიის გაკრიტიკება*, “*დამარხვა*”); *to kill a plan* (*გეგმის ჩაფუშვა*, *ჩაშლა*); *to kill a bill* (*კანონ-პროექტის ჩაგდება*). ანდა კიდევ, ინგლისური წინადადების *The student is reading* ეკვივალენტური თარგმანი *სტუდენტი კითხულობს* არ არის დედნის იდენტური თავისი შინაარსით, რამეთუ ქართული იგნორირებას უკეთებს როგორც არტიკლის, ისე განგრძობითობის სპეციფიკურ ინფორმაციებს. თანაც, სტუდენტი ქართულში უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლეა, ინგლისურში კი იგი შეიძლება სკოლის მოსწავლედ იყოს. მთარგმნელის ამოცანაა შეინარჩუნოს და განსხვავებულ ლინგვისტურ და სოციალურ კონტექსტში “ჩარგოს” დედნის მნიშვნელობათა და სტილისტურ ნიუანსთა გამა.

ინფორმაციის დაკარგვას ადგილი აქვს *to kill*-ის სინონიმების – *to assassinate* და *to murder* თარგმნისას; რადგან პირველი ნიშნავს *ღალატით მოკვლას*, მეორე კი – *დანაშაულებრივად/განზრახ მოკვდინებას*. მათ ერთსიტყვიან თარგმანში *კვლა* კი – ეს ნიუანსები იკარგება. ავიღოთ სხვა მაგალითი – ქართულში ცოცხალი არსებაც ცურავს, გემიც და მორიც; ინგლისურში კი – შესაბამისად გვაქვს: *swims, sails* და *floats*.

აფიქსირებს რა სიტყვათა მნიშვნელობებში აღსანიშნ საგანთა გარკვეულ ნიშან-თვისებებს, თითოეული ენა თავის “სამყაროს სურათს” ქმნის. ამიტომ ქართულში – ბუზი ქერზე ზის, ინგლისურში კი – *დვას*: *A fly stands on the ceiling*. რუსულში – *носят одежду, бороду, усы, причёску*, მაგრამ არა კოსმეტიკურ საშუალებებს, როგორც ამას ადგილი აქვს ინგლისურში: *She was wearing a new kind of perfume. to boil* – ქართულად *დუღება-ცაა* და *ხარშვაც*, *to wash* – *ბან(ვ)აცაა* და *რეცხვაც*. კომისაროვის (1965) აზრით – *dog* არ არის *собака*-ს იდენტური, რამეთუ იგი *нёрс*-საც აღნიშნავს; რაშიც მას ვერ დავეთანხმებით, რადგან ასეთი მნიშვნელობა *собака*-საც გააჩნია.

ზოგიერთი სიტყვა მხოლოდ დენოტაციური მნიშვნელობის მატარებელია, ხოლო შესაბამისი კონოტაციური მეწყვილე სულ სხვა სიტყვაა. შემდეგ სიტყვებში პირველი კონოტაციურად ნეიტრალურია, მეორე კი – კონოტაციურად მარკირებული: *grandfather* – *grand(-d)ad, grandpa(pa)*; *grandmother* – *grandma(mma), granny*; *father* – *dad(dy)*; *mother* – *ma(mma), ma[æ]mmy, mum(my), mom(my)*; *son-sonny, girl- girlie, aunt – auntie, dog-doggie, cat-pussy, smell-fragrance* (არომატის კონოტაციით).



როგორც ვიცით, სიტყვის კონოტაციურ სემანტიკას მისი ემოციონალური სტილისტური ხატოვანი სემები ქმნიან, რომელთა წყალობით იგი განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს მსმენელსა და მკითხველზე. პოტენციური ხატოვნება ჩაფიქსირებულია ზოგიერთი არაკონოტაციური სიტყვის სემანტიკაში თუ არა, ხმარებაში მაინც. მაგ. *მელა* – ასოცირდება ეშმაკობასთან, *ლომი* – გულადობასთან, *ფარშავანგი* – სიამაყესთან. ასეთივე ასოციაციებით ხასიათდებიან რუსული – *Мумрофанушка, Петрушка*; ინგლისური – *Humpty-Dumpty*; ქართული – *ნაცარქექია* და *არსენა*.

წყარო და მასპინძელი ენების შესაბამისი სიტყვები შეიძლება ერთნაირი ასოციაციურობა-ხატოვნებით ხასიათდებოდნენ, მაგრამ ხშირად ისინი ამ მხრივ ერთმანეთს არ ემთხვევიან: *თოვლივით თეთრი* – *as white as snow*, *დღესავით ნათელი* – *bright as day*; მაგრამ *thin as a rake* – *ჩხირივით გამხდარი* – *худой как щетка*, *strong as a horse* – *ვირივით ღონიერი* – *сильный как бык*, *stupid as a goose* – *ბატი* – *глуп как пробка*. ზოგჯერ მნიშვნელო-

ბის ამ კომპონენტის თარგმანში განმეორება არ ხერხდება და ხატი იკარგება.

ორიგინალისა და თარგმანის სიტყვათა ეკვივალენტურობაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს სიტყვათა შიგლინგვისტური მნიშვნელობა, რომელიც განპირობებულია ამ სიტყვათა ადგილით ენობრივ სისტემაში. ნებისმიერი სიტყვა რთულ და მრავალმხრივ ურთიერთობაშია სხვა სიტყვებთან, და ეს კავშირები მის სემანტიკაშია ასახული. მაგალითად, რუსული *стол* – სემანტიკურად უკავშირდება ავეჯის სხვა ნივთების სახელწოდებებს – *стул, обстановка, ...* – და მათთან დაკავშირებულ სხვა სიტყვებს, როგორცაა – *деревянный, круглый, накрывать, ...* სხვა ტიპის სემანტიკურ კავშირს ავლენს სიტყვა *стол* – ისეთ სიტყვებთან, როგორცაა – *столовая, застольный, столоваться* და სხვა, რომელთაც ძირეული მორფემის საერთოობა აკავშირებთ.

შიგლინგვისტური მნიშვნელობა, რომელსაც ენის სისტემა სიტყვას თავს ახვევს, შეიცავს ინფორმაციას, რომელზეც კომუნიკაციის მონაწილენი ყურადღებას არ ამახვილებენ, რამეთუ იგი აზრის გაფორმების ელემენტად მიაჩნიათ, და არა თვითონ აზრად.

თარგმნის ლინგვისტური საფუძვლები

როგორც უკვე ითქვა, თარგმნა, პირველ ყოვლისა საკონტაქტო ენებში, ე.ი. სათარგმნ და მასპინძელ ენებში ლინგვისტურ შესატყვისობათა ძიება-დადგენის პროცესია.

ერთი ენიდან მეორეში გადადის ანუ ითარგმნება მხოლოდ შინაარსის პლანი, ე.ი. სიტყვათა და შესიტყვებათა მნიშვნელობები და მათგან ნაშენი, მათგან ნაქსოვი ტექსტის შიგთავსი. თარგმანს, როგორც წესი, არ ექვემდებარება ადამიანთა გვარ-სახელები და გეოგრაფიული სახელწოდებები. სათარგმნი ენიდან მასპინძელ ენაში მხოლოდ მათი ფორმის – წარმოთქმა და დანერილობა – გადატანა ანუ ტრანსლიტერაცია ხდება. მაგრამ მცირე გამონაკლისი ყველა წესსა აქვს.

მაგალითად, ქართულში სხვადასხვა ენებიდან ტრანსლიტერირებული და ნაწილობრივ გადმოთარგმნილია უამრავი საკუთარი სახელი, როგორცაა – *ჰომეროსი, შექსპირი, დიდი ბრიტანეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, ამერიკის შეერთებული შტატები* და სხვა.

გასაგები მიზეზების გამო, გაცილებით იშვიათია ქართულიდან სხვა ენებში საკუთარ სახელთა ტრანსლიტერაციისა და თარგმნის ფაქტები, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ – *Rustaveli, Stalin, Tbilisi, David the Builder, King Tamar* და ა.შ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ერთნაირი მნიშვნელობის მქონე გვარები – ინგლ. Smith (სმიტი), გერმ. Schmidt (შმიდტი), ფრანგ. Lefevre (ლეფუერე), რუს. Кузнецов (კუზნეცოვი), ქართ. მჭედლიძე, მჭედლიშვილი, მჭედლური, მეგრ. ჭკადუა, სვან. მუშკუდიანი < მუშკიდ, აფხაზ. Ажъида (აჟიბა) თარგმანებს არ წარმოადგენს. ისინი ერთნაირი ეტიმოლოგიის, ერთნაირი მოტივაციის, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღმოცენებული სახელდებითი სიტყვებია.

1. ფონეტიკურ-ორთოგრაფიული საფუძვლები

თარგმანის ძირითადი ობიექტია ტექსტის შინაარსის პლანი, ე.ი. მისი ლექსიკური და გრამატიკული ასპექტები; მაგრამ ბუნებრივია, არც მისი სამოსელი, მისი გამოხატვის პლანი, ე.ი. ფორმა, ე.ი. ფონეტიკური და გრამატიკული ასპექტებია უგულებელყოფილი.

გამოხატვის პლანი, ტექსტის ფონეტიკა – შინაარსზე არანაკლებ ფასეულია პოეზიაში, რომელიც პროზისაგან სწორედ თავისი ჟღერადობით, ე.ი. რიტმიკითა და რითმით განსხვავდება. რიტმი, ე.ი. წინადადების სეგმენტთა თავისებური მონაცვლეობა ახასიათებს პროზასაც, რაც სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვაგვარია და მაშასადამე, მათი სტილის თავისებურებას წარმოადგენს.

ენათაშორის ფონეტიკურ-ორთოგრაფიულ შესატყვისობათა საკითხი დგება ერთი ენიდან მეორეზე სესხებისა და საკუთარ სახელთა, ე.ი. ადამიანთა გვარ-სახელებისა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა ერთი ენიდან მეორეზე გადატანის, ე.ი. ტრანსლიტერაციის დროს.

მაშასადამე, ტრანსლიტერაცია – ლათინური სიტყვიდან *littera ანბანის ასო* – ჰქვია ერთი ენის სიტყვის ფორმის, კერძოდ კი მისი დანერგვის მეორე ენაზე გადაწერას, მეორე ენის ასოებით მის გამეორებას. იგივენაირად, ერთი ენის სიტყვის წარმოთქმის მეორე ენაზე გახმიანებას, მეორე ენის ბგერებით გამეორებას ტრანსფონიზაცია უნდა ეწოდებოდეს – ძველბერძნული *phōnē ბგერა* – ანალოგიით; მაგრამ ასეთი დიფერენციაცია და ბუნებრივია, ასეთი ტერმინიც არ არსებობს.

ნებისმიერ შემთხვევაში, ქართულისათვის ტერმინი ტრანსლიტერაცია სავსებით საკმარისი და მისაღებია, რამეთუ ქართულში ასო და ბგერა ერთი და იმავე ნიშნით აღინიშნება. ჩვენ შემთხვევაში ტრანსლიტერაცია გულისხმობს ნასესხობათა და საკუთარ სახელთა გადმოქართულება-გადაინგლისურებას.

ერთი ენიდან მეორეში სიტყვის ფორმის გადატანის, ტრანს-

ლიტერირებისათვის საჭიროა ამ ენების ფონეტიკურ-ორთოგრაფიულ სისტემათა შეტოლება-შეპირისპირების გზით მათ ასო-ბგერათა შესაძლო ადეკვატურ შესაბამისობათა დადგენა. აქ უპრიანია მოვიყვანოთ ქართულ და ინგლისურ ხმოვანთა და თანხმოვანთა ცხრილები.

ხმოვნები ქართულსა და ინგლისურში

მონოფთონგები		დიფთონგები			ტრიფთონგები	
მოკლე	გრძელი	[i]	[-u]	[-ə]	[-iə]	[-uə]
ა[ʌ]	[a:]	[ai]	[au]	–	[aiə]	[auə]
ე[e]	–	[ei]	–	[eə]	–	–
ი[i]	[i:]	–	–	[iə]	–	–
ო[ɔ]	[ɔ:]	[ɔi]	[ou]	[ə]	–	–
უ[u]	[u:]	–	–	[uə]	–	–
ა[ə]	[ə:]	–	–	–	–	–

როგორც ვხედავთ, ქართულში მხოლოდ ხუთი მოკლე ხმოვანი გვაქვს – **ა, ე, ი, ო** და **უ**. ამ ხუთი ასო-ბგერითა და მათი კომბინაციებით გადმოიცემა ყველა მეტ-ნაკლებად იდენტური ინგლისური როგორც მოკლე, ისე გრძელი მონოფთონგები, დიფთონგები და ტრიფთონგები. ამასთან, [æ] ყოველთვის ტრანსლიტერირდება როგორც „ე“, ნეიტრალური ბგერა [ə(:)] კი – როგორც „ა“ ან „ე“, თანაც ყოველთვის გადმოიტანება ხმოვნების შემდეგ მდგომი „r“-იც.

მაგალითად: **Alps** – **ალპები**, **America** – **ამერიკა**, **assistant** – **ასისტენტი**, **band** – **ბანდა**, **cat** – **კატა**, **lamp** – **ლამპა**; **mark** – **მარკა**, **park** – **პარკი**, **Green** – **გრინი**, **meeting** – **მიტინგი**, **Pete** – **პეტი**; **court** – **კორტი**, **Ford** – **ფორდი**, **port** – **პორტი**; **verbal** – **ვერბალური**; **autobus** – **ავტობუსი**, **diagram** – **დაგრამა**, **soul** – **სული**, **valley** – **ვალე**;

მეტი პრობლემებია თანხმოვნების ინგლისურ-ქართული და

კიდევ უფრო მეტი – ქართულ-ინგლისური ტრანსლიტერაციის დროს. ქართულს არ გააჩნია ინგლისური *f[f]*, *th[ð]*, *th[θ]*, ნახევრადხმოვანი *y[j]* და *w[w]*-ს ბადალი ასო-ბგერები.

f[f]-ს ყოველთვის ჩაენაცვლება „ფ“: მაგალითად: *federal* – *ფედერალური*, *festival* – *ფესტივალი*, *form* – *ფორმა*...

th[ð]-ს უნდა ჩაენაცვლოს ქართული „დ“, *th[θ]*-ს კი – „თ“.

ასეცაა სიტყვებში: *the Netherlands* – *ნიდერლანდები*, *theme* – *თემა*...

მაგრამ *Galsworthy* – *გოლზვორდი*, რაც ჩემი აზრით გაუმართლებელია.

გაუმართლებელია აგრეთვე *w[w]*-ს ქართულ „უ“-დ გადმოქართულება, რადგანაც „w“ თანხმოვანია, „უ“ კი – ხმოვანი; და მაშასადამე:

ვაშინგტონი (Washington) და არა *უოშინგტონი*,

ვატერპოლო (waterpolo) და არა *უოტერპოლო*,

ვალტერ (Walter) და არა *უალტერ*,

ვილიამ (William) და არა *უილიამ*, როგორც ზოგიერთები გვთავაზობენ.

რაც შეეხება ნახევრადხმოვან *j[j]*-ს – „ჯ“ ძველ ქართულში იყო; დღეს კი იგი უბრალო „ი“-დ გადმოიტანება; მაგრამ ამ ბგერიანი ნასესხობანი და საკუთარი სახელები არ გვეგულება.

თავის მხრივ ინგლისურს არ გააჩნია ათი ქართული ბგერა – *კ, პ, ტ, ძ, წ, ც, ჭ, ღ, ხ* და *ყ*;

ქართული თანხმოვნები წარმოდგენილია სამეულებად, წყვილეულებად და ცალეულებად. სამეულებში ერთი მჟღერი უპირისპირდება ორ ყრუს, რომელთაგანაც ერთი მკვეთრია და მეორე – ფშვინვიერი. ინგლისურისა და რუსულისათვის სამეულები უცხოა და მათ აქ წყვილეულები შეესაბამება – ინგლისურს აკლია მკვეთრები, რუსულს კი – ფშვინვიერები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისური ფშვინვიერები უფრო ნაკლები ფშვინვით ხასიათდებიან, ვიდრე მათი ქართული ეკვივალენტები; ხოლო ინგლისური მჟღერი თანხმოვნები უფრო მჟღერები არიან, ვიდრე ქართული მჟღერი თანხმოვნები.

ქართული სამეულები და მათი ინგლისურ-რუსული შესატყვისები

ბ კ ფ ↘ ↙ b – p	გ კ ქ ↘ ↙ g – k	დ ტ თ ↘ ↙ d – t	ძ წ ც ↘ ↙ dz ds ts	ჯ ჭ ჩ ↘ ↙ j – ch[ჩ]
ბ п –	г к –	д т –	– – ц	– – ч

ქართული წყვილეულები და მათი ინგლისურ-რუსული შესატყვისები

ზ – ს	ჟ – შ	ღ – ხ
z – s	zh[ჟ] – sh	gh – kh
ჯ – ც	ж – ш	– – x

ქართული მჟღერი ცალეულები და მათი ინგლისურ-რუსული შესატყვისები

ვ – მ – ნ – რ – ლ
v – m – n – r – l
в – м – н – р – л

ქართულში სულ 7 ცალეულია, აქედან 5 მჟღერია და 2 ყრუ. ქართული ყრუ ცალეულებიდან ერთი – „ყ“ მკვეთრია, რომელიც ინგლისურში ისევე „k“-ით გადმოიცემა; მეორე – „ჭ“ კი – ფშვინვიერია. ინგლისურში მხოლოდ „h“ გვაქვს, რუსულს კი არც ერთი მათგანი არ გააჩნია.

იმის გამო, რომ ინგლისური ფშვინვიერები უფრო ნაკლები ფშვინვით ხასიათდებიან ვიდრე მათი ქართული ეკვივალენტები, (უფრო მეტად კი რუსულის გავლენით) ეს ფშვინვიერები ქართულში უმეტესწილად შესაბამისი მკვეთრებით გადმოიცემიან: მაგალითად: *Clinton* – კლინტონი ან ქლინტონი, *party* – პარტია, *port* – პორტი, აკაკი *წერეთელი* – Akaki *Tsereteli*, ილია *ჭავჭავაძე* – Iliа *Chavchavadze* და ა.შ. . . მაგრამ *green card* – გრინკარდი. ასე რომ, ეს საკითხი მოსაგვარებელია.

2. ლექსიკური საფუძვლები


მეტყველება, ტექსტი – იქნება ეს ზეპირი თუ გრაფიკული, რაღაც ინფორმაციას გვანვდის; გარკვეული ინფორმაციის, გარკვეული შინაარსის მატარებელია.

ბუნებრივია, რომ ტექსტის ინფორმაცია მასში შემავალ წინადადებათა ინფორმაციების ჯამს წარმოადგენს.

თავის მხრივ, თითოეული წინადადების ინფორმაცია იმ სიტყვათა და შესიტყვებათა მნიშვნელობების ნაკრებია, რომლებიც განაწილებს იგი შედგება.

როგორც ვიცით, სიტყვა ფორმისა და მნიშვნელობის ერთიანობაა. სიტყვის ფორმა ესაა მისი ჟღერადობა, ე.ი. წარმოთქმა და მისი დაწერილობა; ხოლო სიტყვის მნიშვნელობა ისაა, რასაც იგი აღნიშნავს, რასაც იგი ასახელებს. ის კი აღნიშნავს და ასახელებს არა უშუალოდ საგანს, ან მის ნიშან-თვისებას, ან მის მოქმედებას, არამედ ამ საგნის ცნებას, ამ ნიშან-თვისების ცნებას, ამ მოქმედების ცნებას.

ცნება არის რაიმე საგნის, რაიმე ნიშან-თვისების, რაიმე მოქმედების, რაიმე მოვლენის იმ მახასიათებელთა მინიმუმი, რომლითაც ჩვენ ამ საგანს, ამ ნიშან-თვისებას, ამ მოქმედებას, ამ მოვლენას ვცნობთ, გამოვარჩევთ მას სხვა საგნებისა, ნიშან-თვისებებისა, მოქმედებებისა და მოვლენებისაგან.



მაშასადამე, ბატკნის ცნება მოიცავს ყველა ბატკანს – დიდსა და პატარას, მსუქანსა და მჭლეს, დედალსა და მამალს, თეთრსა და ნაცრისფერს და ა.შ.; მაგიდის ცნება მოიცავს ყველანაირ მაგიდას – მრგვალს, სამკუთხედს, ოთხკუთხედს, ერთფეხას, სამფეხას, ოთხფეხას, მაღალს, დაბალს, სასადილოს, საწერს და ა.შ.; ხოლო მის ნიშან-თვისებათა მინიმუმი მოცემულია მის დეფინიციებში – მაგიდა არის ერთ ან მეტ ფეხზე დამაგრებული ფიქარი ან სხვა მასალის დაფა, რომელზეც სადილობენ და წერენ.

წყლის, როგორც ნივთიერების ნიშან-თვისებათა მინიმუმში შედის: 1. სითხეობა; 2. გამჭვირვალობა; 3. უსუნობა; და 4. დასაღვეად და/ან დასაბანად-გასარეცხად გამოყენებადობა. ნიშან-თვისებათა ეს მინიმუმი სავალდებულო და საკმარისია ყველასათვის, ყველა ეროვნების წარმომადგენლისათვის, რათა მან იცნოს და გამოარჩიოს წყალი ნავთისაგან, ზეთისაგან, რძისაგან და ა.შ.; მაშასადამე, წყლის ცნება ყველასათვის ერთნაირია, ოღონდ მას სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელი ჰქვია. ქართულში – წყალი, რუსულში – вода, ინგლისურში – water, გერმანულში – wasser და ა.შ. და ამ სიტყვის წარმოთქმისას, დანერისას, გაგონებისას თუ წაკითხვისას ენის მცოდნემ იცის, თუ რა ნივთიერებაზე მიუთითებენ.

წყალს უამრავი სხვა ნიშან-თვისებებიც აქვს, რომლებიც მაგალითად, ცნობილია ქიმიკოსისათვის. მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანისათვის საკმარისი და სავალდებულოა მხოლოდ მის ნიშან-თვისებათა ეს მინიმუმი. არა მარტო საკმარისი, არამედ სავალდებულოცაა ნიშან-თვისებათა ამ მინიმუმის ცოდნა.

საგნის ნიშან-თვისებები შესაბამის ცნებაში, ე.ი. შესაბამისი სიტყვის მნიშვნელობაში აისახება როგორც ამ მნიშვნელობის შემადგენელი უმცირესი ნაწილაკები, რომელთაც სემები ეწოდება. ეს სემები მეტ-ნაკლებად კარგად იკითხება სიტყვათა დეფინიციებში. მაგალითისათვის ავიღოთ სიტყვა boys წინადადებიდან Boys like football. სათანადო დეფინიციების მიხედვით ამ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის შემადგენელი სემებია: 1. სულიერობა; 2. ადამიანობა; 3. მოზარდობა; და 4. მამრობი-

თობა. მაგრამ ამ სიტყვას გრამატიკული მნიშვნელობაც აქვს, რომლის სემებია: 1. მრავლობითობის სემა; 2. საზოგადო ბრუნვის სემა; და 3. მოქმედების შემსრულებლის სემა.

ლექსიკურ სემებს სიტყვის ფორმაში თავისი წარმომადგენლები, თავისი აღმნიშვნელები, ე.ი. თავისი ექსპონენტები არ გააჩნიათ. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ სიტყვის რომელი ბგერა, რომელი ნაწილი რა სემას გადმოსცემს. გრამატიკულ სემებს კი, როგორც წესი, თავისი ექსპონენტები აქვთ. მაგალითად, მოხმობილ სიტყვაში boys – მრავლობითობის სემის ექსპონენტია, გამომხატველია ფლექსია s[z], საზოგადო ბრუნვის სემის ექსპონენტია ნულოვანი ფლექსია – უფრო სწორად კი უაპოსტროფობა; ხოლო მოქმედების შემსრულებლის სემის გამომხატველია ამ სიტყვის პოზიცია – სახელდობრ, მისი დგომა შემასმენლის წინ.

სიტყვაში სამი სახის ინფორმაცია იყრის ხოლმე თავს, ესენია:

1. ინფორმაცია სიტყვის დამოკიდებულების შესახებ რეფერენტისადმი, ე.ი. საგნისადმი, ნიშან-თვისებისადმი, და ა.შ., რომელსაც სიტყვის საგნობრივ-ლოგიკური ანუ დენოტაციური მნიშვნელობა ეწოდება. მაგალითად, სიტყვის boy დენოტაციური მნიშვნელობაა – მამრობითი სქესის ბავშვი a male child;

2. ინფორმაციას სიტყვასა და ადამიანს შორის დამოკიდებულების შესახებ, უფრო სწორად კი – ადამიანის დამოკიდებულების შესახებ სიტყვით აღნიშნული რეფერენტისადმი სიტყვის კონოტაციური მნიშვნელობა ეწოდება; და როგორც ტერმინი გვიჩვენებს, ის თან სდევს დენოტაციურ მნიშვნელობას; ოღონდ იგი ყველა სიტყვას არ გააჩნია. მაგალითად, სიტყვა boy კონოტაციურად ნეიტრალურია, ე.ი. მასში არ იკითხება რაიმე განსაკუთრებული დამოკიდებულება რეფერენტისადმი, ე.ი. მამრობითი სქესის ბავშვისადმი, როგორც ამას ექნებოდა ადგილი ამ სიტყვის სინონიმის urchin-ის შემთხვევაში, რომელიც ცელქ ბავშვს აღნიშნავს;

და 3. ინფორმაცია სიტყვის სხვა სიტყვებთან დამოკიდებულების შესახებ, რომელსაც სიტყვის შიგაღნიშვნისტური მნიშ-


ვნელობა ეწოდება. სიტყვის შიგალინგვისტური მნიშვნელობა გულისმობს ამ სიტყვის კავშირ-ურთიერთობებს სხვა სიტყვებთან, როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ ქრილში.

ვერტიკალური კავშირ-ურთიერთობები ესაა ეგრეთწოდებული ჰიპერონიმულ-ჰიპონიმური კავშირ-ურთიერთობები.

ჰიპონიმი (**hyponym**) შედარებით ვიწრო მნიშვნელობის მქონე სიტყვაა, რომელიც შედის უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე სიტყვაში, რომელსაც მისი ჰიპერონიმი (**hyper(o)nym or superordinate**) ეწოდება. თავის მხრივ ჰიპერონიმი შეიძლება შედიოდეს მასზე უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე სიტყვის შემადგენლობაში, რომელიც მისი ჰიპერონიმია - თვითონ კი, ამ ჰიპერონიმის ჰიპონიმი და ა.შ.

ჩვენ მიერ მაგალითად აღებული სიტყვა *boy* ჰიპერონიმულ-ჰიპონიმურ ურთიერთობაშია სიტყვასთან *child*, რომლის შემადგენლობაშიაც იგი შედის როგორც ჰიპონიმი, და რომელიც მისი ჰიპერონიმია; თავის მხრივ *child* – *human*-ის შემადგენლობაში შედის და მისი ჰიპონიმი *human* კი – *child*-ის ჰიპერონიმია; და ბოლოს, *human* ჰიპონიმად შედის *animal*-ის შემადგენლობაში, *animal* კი – მისი ჰიპერონიმია.




სქემატურად ეს ასე გამოიყურება:





აღსანიშნავია, რომ რაც უფრო ფართოა სიტყვის მნიშვნელობა, მით უფრო ნაკლები სემეზია მასში (*რასაც სქემატურად ადასტურებს*), სადაც ყოველი ზემდგომი სიტყვის სემეზი ერთით ნაკლებია ქვემდგომისაზე.

ამ თვალსაზრისით ზოგჯერ ინგლისური და ქართული ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდება, მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდია.

ჰიპერონიმულ-ჰიპონიმური კავშირები





kill

კვლა, სიცოცხლის წართმევა

kill

stab

shootup

crush

execute

electrocute

hang

guillotine

lynch

drown

strangle

murder

butcher

slay

slaughter

massacre

commit suicide

assassinate

kill – (და)კვლა

stab – დანით მოკვლა

shootup – დახვერეტა

crush – to put to death by pressing გაჭყლეტა

execute – to put to death according to the sentence სიკვდილით

დასჯა

electrocute – to injure or kill by electric shock დენის დარტყმით

სიკვდილი/სიკვდილით დასჯა ელექტროს კამზე

hang – to put to death by hanging ჩამოხრჩობა

guillotine – to behead by guillotine სიკვდილით დასჯა გილიო-

ტინაზე

lynch – to put to death without a lawful trial ჩაქოლვა

drown – (to cause) to die in water because unable to breathe წყა-

ლში დახრჩობა

strangle – to put to death by hindering of breathing გაგუდება

murder – to kill a human being unlawfully and on purpose ადამი-

ანის (წინასწარ განზრახვით) დანაშაულებრივად მოკვდინება

butcher – 1. killing violently with a knife დანით მხეცურად მო-

კვლა; 2. needless and cruel killing of people ხალხის უმიზეზოდ და

უღმობლად დახოცვა

slay – (archaic or literary) to kill in a violent way განგმირვა; e.g.

St. George slew the dragon.

slaughter – to kill (animals, people) in large numbers ცხოველე-

ბის ან ხალხის დახოცვა

massacre – cruel killing of large numbers of people ხალხის მასი-

